



## ელექტროენერგის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა  
2019 წლის 8 თვე  
3 ოქტომბერი 2019

### 2019 წლის 8 თვის მნიშვნელოვანი საიხლები

ელექტროენერგის მოხმარება პროგნოზირებულზე ბევრად დაბალი ტემპით წლიურად 2.3%-ით გაიზარდა. ამასთან, არასახარბიელო კლიმატური პირობების გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა ჰიდროგენერაცია (-9.7% წ/წ), რამაც ელექტროენერგის სავაჭრო დეფიციტი მნიშვნელოვნად გაზარდა, მოხმარების ზრდის დაბალი ტემპის მიუხედავად. ელექტროენერგის სავაჭრო დეფიციტმა 29.6 მლნ აშშ დოლარი (+80.5% წ/წ) შეადგინა, რაც 2019 წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, გაორმაგდება.

ეკონომიკის სამინისტრომ განაახლა ელექტროენერგის საპროგნოზო ბალანსი, სადაც ელექტროენერგის მოხმარების ზრდის ტემპი, 2019 წლისთვის, შემცირებულია 5.7%-მდე, თავდაპირველად პროგნოზირებული 13.2%-იანი წლიური ზრდის ტემპიდან.

ენერგეტიკის სექტორმა ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიზიდა, 2019 წლის პირველ ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ ბაზრის დერეგულირების პროცესი მიმდინარეობს, რასაც ადასტურებს საბითუმო მოვაჭრეების გააქტიურება და პირდაპირი მომხმარებლების წილის ზრდა ქვეყნის ელექტროენერგის მთლიან მოხმარებაში. ეს უკანასკნელი, ბოლო 2 წელიწადში, 12%-დან 21.5%-მდე გაიზარდა, რაც საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარეობს.

პარლამენტი ენერგეტიკასთან დაკავშირებულ 2 კანონპროექტს განიხილავს - 1) ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ და 2) განახლებადი ენერგის წყაროების წახალისების შესახებ. ორივე კანონის მიღება წლის ბოლომდე დაგეგმილი, თუმცა კანონქვემდებარე აქტების მიღება უფრო გრძელვადიან პერიოდზეა გაწერილი.

#### ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
evabochoreshvili@gt.ge  
+995 322 401 111 ext.8036

#### მარიამ ჩახვაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი  
mchakhvashvili@gt.ge  
+995 322 401 111 ext.7897




**ბაზრის ზოგადი საიხლეები**

2019 წელს საბითუმო ბაზრის მონაწილეთა რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, 15 პირდაპირი მომხმარებელითა და 10 საბითუმო მიმწოდებლით. ბაზრის დერეგულირების გეგმის ფარგლებში, 11 კომპანია, რომელთა საშუალო თვიური ელექტროენერჯის მოხმარება აღემატებოდა 5 გვტ.სთ-ს, 2019 წლის 1 მაისიდან სავალდებულო წესით დარეგისტრირდა პირდაპირ მომხმარებლად. სავალდებულო წესით რეგისტრაცია 2018 წლის მაისშიც განხორციელდა იმ კომპანიებისთვის, ვისი მოხმარებაც თვიურად 15 გვტ.სთ-ს აღემატებოდა. ამ ორი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, პირდაპირი მომხმარებლების რიცხვი ბოლო ორ წელიწადში გაიზარდა 2-დან 15-მდე. ამასთან, მათი ჯამური ყოველთვიური მოხმარება გასამმაგდა - თუ 2018 წლის იანვარში ამ ჯგუფის ჯამური მოხმარება 108 გვტ.სთ-ს შეადგენდა, 2019 წლის ივლისში მათ 334 გვტ.სთ მოიხმარეს. პირდაპირი მომხმარებლების წილი ქვეყნის მთლიან მოხმარებაში 2019 წლის 8 თვეში 21.5%-ს შეადგენდა. შედარებისთვის, ეს წილი 2017 წელს 12%-ს არ აღემატებოდა.


ესკო პირდაპირი მომხმარებლების უმსხვილესი მიმწოდებელია 2019 წლის 8 თვეში. პირდაპირი მომხმარებლები ელექტროენერჯიას ყიდულობენ საბითუმო ბაზარზე და არ არიან სადისტრიბუციო კომპანიების აბონენტები. ამასთან, საბითუმო ბაზარზე მათ შეუძლიათ ელექტროენერჯია იყიდონ ელექტროენერჯის მწარმოებლებისგან, ესკოსგან ან საბითუმო მიმწოდებლისგან, რომლებიც ახლახან გაჩნდნენ ბაზარზე. 2019 წლის 8 თვეში 10 საბითუმო მიმწოდებელი დარეგისტრირდა, მათგან 3 აქტიურად იყო ჩართული ვაჭრობის პროცესში. მიუხედავად ამ 3 კომპანიის აქტიურობისა, 2019 წლის 8 თვეში, ესკო პირდაპირი მომხმარებლების ჯგუფის უმსხვილესი მიმწოდებელი იყო, 37.1%-იანი წილით. ეს აიხსნება ესკოს მიერ შეთავაზებული დაბალი ფასით მაისსა და ივნისში, რასაც ენგურჰეის იაფიან რესურსზე ხელმისაწვდომობა განაპირობებდა (იხილეთ ცხრილი 3).

გრაფიკი 1: პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დინამიკა



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერჯეტიკაში, მლნ აშშ. დოლარი



წყარო: საქსტატი

ენერჯეტიკის სექტორმა ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიზიდა 2019 წლის პირველ ნახევარში. ამ ინვესტიციებმა 112 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიური 32.2%-იანი ზრდაა. ამასთან, ყველაზე მსხვილი თანხები ნენსკრა ჰესის, აჭარ-ენერჯის და ენერგო პრო ჯორჯიას პროექტებში იქნა მიმართული.




**ელექტროენერჯის გამომუშავება, იმპორტი, მოხმარება და ექსპორტი - 2019 წლის 8 თვე**

**ადგილობრივი მოხმარება**

ელექტროენერჯის მოხმარებამ 2019 წლის 8 თვეში 8.6 ტვტ.სთ შეადგინა, რაც წლიური 2.3%-იანი ზრდაა. ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შენელებულია, როგორც წინა წლებთან, ისე პროგნოზირებულთან შედარებით. ანალოგიურ პერიოდებში ზრდა 7.7% და 8.2% იყო, შესაბამისად 2018 და 2017 წლებში. ეკონომიკის სამინისტროს განახლებული პროგნოზით, 2019 წელს ელექტროენერჯის მოხმარება 13.3 ტვტ.სთ-ს მიაღწევს, რაც წლიური 5.7%-იანი ზრდაა. ეს ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული თავდაპირველ 13.2%-იან პროგნოზთან შედარებით. მოხმარების ზრდის ტემპის შენელება უკავშირდება კლიმატურ პირობებს და ასევე კრიპტოვალუტის მაინერების მხრიდან მოთხოვნის შემცირებას.

მომხმარებელთა ცალკეულ კატეგორიებში მოხმარების ტენდენციები საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარეობს. კვალიფიციური (პირდაპირი მომხმარებლები) საწარმოების მოხმარება 2019 წლის 8 თვეში წლიურად 61.4%-ით გაიზარა, რაც ამ ჯგუფში ახალი კომპანიების დამატებით აიხსნება. ამასთან, იგივე მიზეზით დისტრიბუციის ლიცენზიანტების მოხმარება წლიურად 10.5% შემცირდა. ამ ჯგუფიდან ყველაზე მეტად ენერგო-პრო ჯორჯიას მოხმარება შემცირდა (-14.3% წ/წ), რადგან მისი აბონენტების გარკვეული ნაწილი პირდაპირ მომხმარებლად დარეგისტრირდა.

გრაფიკი 3: ელექტროენერჯის მოხმარება, გვტ.სთ



წყარო: ესკო  
შენიშვნა: ენერგო-პრო ჯორჯია მოიცავს კახეთის ენერგოდისტრიბუციის 2017 წლის აგვისტომდე მოხმარებასაც

ცხრილი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, 8თ19

მომხმარებელი	წლიური ზრდის ტემპი	წილი მოხმარებაში
<b>შიდა მოხმარება</b>	<b>+2.3%</b>	<b>100.0%</b>
აფხაზეთის რეგიონი	+9.0%	16.0%
კვალიფიციური საწარმოები	+61.5%	21.5%
სადისტრიბუციო კომპანიები	-10.5%	62.5%
ენერგო-პრო ჯორჯია	-14.3%	39.8%
თელასი	-2.9%	22.7%

წყარო: ესკო




**ელექტროენერჯის გენერაცია**

არასახარბიელო ჰიდროლოგიური პირობების გამო 2019 წლის 8 თვეში ჰიდროგენერაცია 9.7%-ით შემცირდა და ჯამური მიწოდების მხოლოდ 73.2% შეადგინა, წინა წლის ანალოგიური პერიოდის 79.6%-თან შედარებით.

ამ კლების დაკომპენსირება და მოხმარების დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდა თბოსადგურების გაზრდილი გამომუშავებითა (+35.3% წ/წ) და იმპორტით (+20.5% წ/წ). შედეგად, ამ ორი კომპონენტის წილმა ჯამურ მიწოდებაში 26.1% შეადგინა (2.4ტვტ.სთ), 2019 წლის 8 თვეში.

ენგურ-ვარდნილის ზამთრის გენერაცია (2019 წლის პირველი 4 თვე) სრულად მოხმარდა აფხაზეთის რეგიონის გაზრდილ მოხმარებას (+9.0% წ/წ). ამ რეგიონისთვის ასევე საჭირო გახდა ელექტროენერჯის იმპორტის განხორციელება რუსეთიდან, სალხინოს გადამცემი ხაზის მეშვეობით, თებერვალ-მარტის განმავლობაში. ბ

გრაფიკი 4: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა კვტ.სთ-ზე საშუალოდ 0.5 აშშ ცენტი შეადგინა (-1.1% წ/წ). ასეთი დაბალი საშუალო მაჩვენებელი თბოსადგურებზე ზაფხულის პერიოდში განხორციელებულ გეგმიურ რემონტებს უკავშირდება.

ცხრილი 2: ელექტროენერჯის მიწოდება, 8თ19

მიწოდება	წლიური ზრდის ტემპი	წილი ჯამურ მიწოდებაში
ჯამური მიწოდება	-1.8%	100.0%
იმპორტი	+20.5%	9.1%
ადგილობრივი გენერაცია	-3.6%	90.9%
თბოსადგურები	+35.3%	17.0%
ქარის სადგურები	+2.3%	0.6%
ჰესები	-9.7%	73.2%
ენგური-ვარდნილი	-16.5%	33.6%
სხვა რეგ. ჰესები	-8.1%	21.1%
დერეგულირებული ჰესები	+3.7%	18.5%

წყარო: ესკო



**ელექტროენერჯის იმპორტი**


**2019 წელს ელექტროენერჯის იმპორტი წლიურად 20.5%-ით გაიზარდა.** აღსანიშნავია, რომ წელს პირველად იმპორტი ივლისშიც განხორციელდა, აგვისტოსთან ერთად. იმპორტის 91.1% განხორციელდა აზერბაიჯანიდან, ხოლო დანარჩენი რუსეთიდან. რუსეთიდან იმპორტირებული ენერჯია სრულად მოიხმარა აფხაზეთის რეგიონში. იმპორტის ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 8 თვის განმავლობაში 38.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 9.1%-ით აღემატება.

საშუალო ფასი საქართველოში იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე, 2019 წლის 8 თვის მონაცემებით, კვტ.სთ-ზე 4.6 აშშ ცენტს შეადგენდა. საშუალო ფასის მცირედი კლებების მიზეზი (-9.5% წ/წ) თებერვალსა და მარტში რუსეთიდან აფხაზეთის რეგიონისთვის მოწოდებული შედარებით იაფიანი ელექტროენერჯის იმპორტია.

ესკო იყო უმსხვილესი იმპორტიორი, ხოლო ელექტროენერჯის იმპორტის 3.8% განახორციელა პირდაპირმა მომხმარებელმა - კომპანია „ბი ეფ დი სი ჯორჯია“-მ, საკუთარი მოხმარების დასაკმაყოფილებლად.


ეკონომიკის სამინისტროს განახლებული საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, ელექტროენერჯის იმპორტი 2019 წლის ბოლომდე 1.6 ტვტ.სთ-ს მიაღწევს, რაც წლიური 9.0%-იანი ზრდა იქნება. ამასთან, თუ 2017 წელს იმპორტის რადიკალური ზრდა (+212.8% წ/წ) უკავშირდებოდა ენგურის 2-კვირიან გაჩერებას, 2018 წელს იმპორტის ზრდა გამოწვეული იყო გაზრდილი მოხმარებით, ხოლო 2019 წელს ჰიდრო გენერაციისთვის ცუდი კლიმატური პირობებით.

გრაფიკი 5: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის იმპორტი, 8თ19




წყარო: ესკო



**ელექტროენერჯის ექსპორტი**


2019 წელს ექსპორტი მხოლოდ მაისსა და ივნისში განხორციელდა. 8 თვის მონაცემებით, ელექტროენერჯის ექსპორტი განახევრდა (-59.1% წ/წ) და ჯამური მიწოდების მხოლოდ 2.6% შეადგინა (2018 წლის 6.3%-თან შედარებით). აღნიშნული სრულად განპირობებულია ადგილობრივ ბაზარზე არსებული დეფიციტით, რაც წლიდან წლამდე ღრმავდება მოხმარების გენერაციაზე უფრო სწრაფი ტემპით ზრდის გამო. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივლისში პირველად განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი, მაშინ როცა ივლისი წლების განმავლობაში საქსპორტო თვე იყო.

გრაფიკი 7: ელექტროენერჯის ექსპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 8: ელექტროენერჯის ექსპორტი, 8თ19



წყარო: ესკო

ექსპორტის თითქმის ნახევარი (46.9%) თურქეთის მიმართულებით განხორციელდა, ხოლო ექსპორტიორები იყვნენ: „საქართველო - ურბან ენერჯი“ და „აჭარ ენერჯი - 2007“, რომლებიც ექსპორტს გრძელვადიანი გადაცემა-დისპეტჩერიზაციის (TDA) კონტრაქტის ფარგლებში ახორციელებენ; მესამე ექსპორტიორი იყო აგრეთვე ბახვი ჰიდრო პაუერი.

სომხეთის მიმართულებით ექსპორტს ძირითადად „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ ახორციელებდა, ხოლო რუსეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით ესკო ერთადერთი ექსპორტიორი იყო.


ექსპორტირებული ელექტროენერჯის საშუალო ფასი წლიურად 15.7%-ით გაიზარდა, 2019 წლის 8 თვეში. ზრდა განპირობებული იყო ექსპორტის დივერსიფიკაციით და უფრო ძვირადღირებული საქსპორტო ბაზრების წილის ზრდით. საშუალო ფასის ზრდის მიუხედავად, 2019 წლის შემცირებული საქსპორტო მოცულობიდან გამომდინარე, ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები განახევრდა (-52.7% წ/წ) და მხოლოდ 9.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ელექტროენერჯის ტრანზიტმა აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით 61.4 გვტ.სთ შეადგინა, 2019 წლის 8 თვეში. ეს მოცულობა თითქმის გახუთმაგდა 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თუმცა ბევრად ჩამორჩება 2016 და 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როდესაც ტრანზიტის ყველაზე მაღალი მოცულობები დაფიქსირდა.




**ელექტროენერჯის სავაჭრო დეფიციტი 2019 წელს სავარაუდოდ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს.** 2019 წლის 8 თვის მონაცემებით, ელექტროენერჯის ექსპორტი მხოლოდ 0.2 ტვტ.სთ იყო (-59.1% წ/წ), იმპორტმა 0.8 ტვტ.სთ (+20.5%) შეადგინა, რამაც დეფიციტი 0.6 ტვტ.სთ-მდე გაზარდა (+468.3% წ/წ). აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივლისში პირველად განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი, მაშინ როცა ივლისი წლების განმავლობაში საექსპორტო თვე იყო. 2019 წლის საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, მიმდინარე წლის ბოლომდე ექსპორტი აღარ განხორციელდება, ხოლო იმპორტი 1.6 ტვტ.სთ-ს მიაღწევს, რის შედეგადაც სავაჭრო დეფიციტი ისტორიულ მაქსიმუმს - 1.4 ტვტ.სთ-ს გაუტოლდება. ამასთან, თანხობრივად ელექტროენერჯის სავაჭრო დეფიციტმა 29.6 მლნ აშშ დოლარი (+80.5% წ/წ) შეადგინა 2019 წლის 8 თვეში, რაც 2019 წლის ბოლომდე სავარაუდოდ გაორმაგდება.

გრაფიკი 9: სავაჭრო ბალანსი, მლნ აშშ. დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ელექტროენერჯის იმპორტის და ექსპორტის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი






## ელექტროენერჯის ფასები საქართველოში და თურქეთში - 2019 წლის 8 თვე

საქართველოში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.6 აშშ ცენტს გაუტოლდა 2019 წლის 8 თვეში, რაც წლიური 8.9%-იანი კლებაა. ამასთან, საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულება (რა ფასადაც ყიდის ესკო) ხშირად საბითუმო ელექტროენერჯის (რა ფასადაც ყიდიან ჰესები და/ან იმპორტიორები) ღირებულებადაც არის აღქმული საქართველოში, თუმცა ეს უკანასკნელი უცნობია კონტრაქტების კონფიდენციალურობიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ წინა წლებისგან განსხვავებით საბალანსო ელექტროენერჯის ფასის განზოგადება ელექტროენერჯის მთელ გარიგებებზე ნაკლებად მართებულია, საბითუმო ბაზარზე მოთამაშეების ზრდის პარალელურად.

საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო ფასის კლება 2019 წლის 8 თვეში ესკოს მიერ ენერჯის შედარებით იაფიანი ენერჯის შესყიდვით და შედეგად შემცირებული გასაყიდი ფასით აიხსნება. საბალანსო ელექტროენერჯის წილმა ჯამურ მიწოდებაში 18.6% შეადგინა, ხოლო დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტების გზით განხორციელდა.

თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი კვტ.სთ-ზე 4.5 აშშ ცენტს შედგენდა (-2% წ/წ), 2019 წლის 8 თვეში. აპრილისა და მაისის ფასი შედარებით დაბალი იყო და კვტ.სთ-ზე 3.4 აშშ ცენტს შეადგენდა, რაც შესაბამისად 29.4%-იანი და 18.1%-იანი წლიური კლებაა.

გრაფიკი 11: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე







**ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონპროექტის მოკლე მიმოხილვა**

**პარლამენტი განიხილავს ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონის პროექტს.** ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონის პროექტის და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის განხილვა პარლამენტმა 2019 წლის მაისში დაიწყო და მისი მიღება 2019 წლის ოქტომბრის ბოლომდეა დაგეგმილი. ენერგეტიკის შესახებ კანონის პროექტი უმეტესწილად იმეორებს ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის ძირითად არსს და შეესაბამება საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით აღებულ ვალდებულებებს.

*კანონპროექტი სავარაუდოდ ოქტომბერში დამტკიცდება*


**კანონპროექტი ითვალისწინებს არსებული ენერგეტიკული ბაზრის მნიშვნელოვან რეფორმას და აწესებს ვადებს მათ განსახორციელებლად.** რეფორმის მიზანია კონკურენტული და გამჭვირვალე ბაზრის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო სანდო იქნება ინვესტორებისთვის და უზრუნველყოფს ბაზარზე სამართლიანი ფასის არსებობას. კანონპროექტი განსაზღვრავს რეფორმის შედეგად მისაღები ბაზრის ძირითად ჩარჩოს და აწესებს გარდამავალი პერიოდის ვადებს. თუმცა კანონპროექტები არ გვამოვს პასუხს, ბაზრის მონაწილეებისთვის ყველაზე საინტერესო კითხვებზე: როგორ მოხდება ვაჭრობა, როგორ მოხდება გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) გაყიდული ელექტროენერჯის ინტეგრირება ბაზარზე, ვის მიენიჭება მოწყვლადი მოხმარებლის სტატუსი, საბოლოო ტარიფის რა ნაწილი დარჩება რეგულირებული და ა.შ.

*ბაზრის ძირეული რეფორმა ეტაპობრივად განხორციელდება*

აღნიშნულ კითხვებზე პასუხს კანონქვემდებარე აქტებში ველოდებით, რომლებიც უფლებამოსილმა ორგანომმა კანონის დამტკიცებიდან 1 წლის განმავლობაში ეტაპობრივად უნდა მიიღოს. კანონქვემდებარე აქტების მიღების ვადები ქვემოთ დიაგრამაზეა მოცემული, ხოლო კანონპროექტით გათვალისწინებული ძირითადი ცვლილებები შემდეგ გვერდებზეა აღწერილი.

*კანონქვემდებარე აქტების მიღების ვადად 1 წელია განსაზღვრული*

**დიაგრამა 1: კანონპროექტით გათვალისწინებული ძირითადი დოკუმენტების დამტკიცების ვადები**



წყარო: საქართველოს პარლამენტი, გალტ & თაგარტი

*ქვემოთ შეჯამებულია კანონპროექტით გათვალისწინებულ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ელექტროენერგეტიკული სექტორისთვის:*



**ელექტროენერჯის ფიზიკური მიწოდების საქმიანობა უნდა გაიმიჯნოს კომერციული საქმიანობისგან და მოხდეს კომპანიების რეორგანიზაცია**

კანონპროექტის მიხედვით, დაუშვებელია, რომ გადამცემი ხაზის მფლობელი კომპანიები ამავდროულად ვაჭრობდნენ, აწარმოებდნენ ან მომხმარებელზე ყიდდნენ ელექტროენერჯის. ენერჯის ფიზიკურ მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობები (გატარება და განაწილება) ანაზღაურდება სრულად რეგულირებული ტარიფით, ხოლო კომერციული ურთიერთობები განხორციელდება საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით. ამ ყოველივეს შესასრულებლად, გადაცემისა და გატარების არსებული ლიცენზიანტი კომპანიების რეორგანიზაციაა საჭირო, რისთვისაც კანონპროექტში დაახლოებით 1 წელზე გათვლილი ღონისძიებებია ჩამოთვლილი.

რეფორმის ამ ნაწილის შესრულება ნიშნავს ელექტროსისტემის, საქრუსენერგოს და ენერგოტრანსის რეორგანიზაციას; აგრეთვე თელასისა და ენერგო-პრო ჯორჯიას დისტრიბუციის საქმიანობების გაყოფას ორ ნაწილად: 1) გატარება და 2) მიწოდება. აქედან, გატარება დარჩება რეგულირებული ტარიფის ქვეშ, ხოლო მიწოდება შესაძლოა მოხდეს თავისუფალ ფასად. რეფორმის პირველ ეტაპზე მიწოდების საქმიანობა სავარაუდოდ განხორციელდება უნივერსალური მიმწოდებლის სტატუსით, რეგულირებულ ფასად (უნივერსალური მიმწოდებლის განმარტება იხილეთ ქვემოთ). აღსანიშნავია, რომ თელასიც და ენერგო-პრო ჯორჯიაც უკვე აკმაყოფილებენ კანონპროექტით დაწესებულ მეორე მოთხოვნას: გენერაციის გამიჯვნას დანარჩენი საქმიანობისგან.

**ელექტროენერჯის ვაჭრობის პროცესში შემოდიან ახალი მოთამაშეები, როგორც საბითუმო ბაზარზე, ისე საცალო ბაზარზე:**

- **მიმწოდებლები** - საწარმო, რომელიც ყიდის ელექტროენერჯის ან ბუნებრივ აირს საბოლოო მომხმარებელზე, მათ შორის მოსახლეობაზე.
- **უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები** ელექტროენერჯის ყიდის მოსახლეობაზე და მცირე ზომის საწარმოებზე წინასწარ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში. მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უნივერსალური მომხმარებლის ფუნქციები რეგულირებულია. საწყის ეტაპზე შესაძლოა უნივერსალური მიმწოდებლის გასაყიდი ტარიფი იყოს რეგულირებული, თუმცა კანონის მიხედვით, აუცილებლად უნდა განისაზღვროს ამ რეგულირების ეტაპობრივი გაუქმების ვადა. საბოლოოდ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ფასი არ უნდა დაექვემდებაროს რეგულირებას თუმცა ფასწარმოქმნის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე. სავარაუდოდ, საწყის ეტაპზე ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის აფილირებული კომპანიები შეითავსებენ ამ ფუნქციას.
- **ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის** ფუნქციაა დაიცვას მომხმარებელი და მიაწოდოს მას ენერჯია იმ შემთხვევაში, თუ მისი კონტრაქტორი მიმწოდებელი ამას ვერ ახერხებს. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს არჩევს მთავრობა ღია ტენდერის გზით; მისი მოქმედების და ტარიფის დადგენის წესები განისაზღვრება სემკვის მიერ.
- **ტრეიდერები**, ბაზრის მონაწილეები, რომლებიც ვაჭრობენ ელექტროენერჯით საბითუმო ბაზარზე.
- **ელექტროენერჯის მწარმოებლები და კვალიფიციური მომხმარებლები** (იგივე „პირდაპირი მომხმარებლები“) კვლავ რჩებიან საბითუმო ბაზრის მონაწილეებად. კვალიფიციური მომხმარებლად ნებაყოფლობით რეგისტრაცია შეეძლება ყველას, ხოლო სავალდებულო რეგისტრაციის

**საქმიანობის გამიჯვნა-** ბუნებრივ მონოპოლიებს არ აქვთ კომერციული საქმიანობის უფლება

გადაცემის და განაწილების კომპანიებს არ აქვთ ელექტროენერჯის გენერაციის, ვაჭრობის და მიწოდების უფლება

ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის რეორგანიზაციის გეგმა კანონის მიღებიდან 9 თვეში უნდა შედგეს

**მიმწოდებლები** - ყიდის ენერჯიას საბოლოო მომხმარებელს

**უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები** - რეგულირებული საწარმო, ყიდის ენერჯიას მოსახლეობაზე და მცირე ზომის საწარმოებზე

**ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლები**- მომხმარებლის დაცვის მექანიზმი

**ტრეიდერები** ვაჭრობენ საბითუმო ბაზარზე

**ელექტროენერჯის მწარმოებლები-** გენერაციის ობიექტები

**კვალიფიციური მომხმარებლები-** საბითუმო ბაზრის მონაწილე კომპანიები



პირობებს, რომელიც შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს, განსაზღვრავს მთავრობა.

- **მოწყვლადი მომხმარებლის დასაცავად** უნივერსალური მიმწოდებლის ტარიფის რეგულირების გარდა დაშვებულ იქნა გარკვეული წახალისების მექანიზმების და სუბსიდიების შემოღება, მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მოკლევადიანი პერიოდებით. მოწყვლადი მომხმარებლის განმარტებას განსაზღვრავს მთავრობა.

**წარმოების წახალისების მიზნით**, კანონში დაშვებულია როგორც განახლებადი ენერჯის წახალისების არსებობა, ასევე მთავრობის მიერ წარმოების სიმძლავრის ტენდერის გამოცხადება. ორივე მექანიზმის პროცედურები დეტალურად უნდა გაიწეროს კანონქვემდებარე აქტებში. განახლებადი ენერჯის წახალისების მექანიზმების შესახებ ასევე შემუშავებულია კანონპროექტი, რომელიც აგრეთვე განხილვის პროცესშია პარლამენტში.

**საბითუმო ვაჭრობა უნდა განხორციელდეს ორგანიზებული ბაზრების მეშვეობით და მონაწილეებს უნდა დაეკისროთ უზალანსობაზე პასუხისმგებლობა**

კანონპროექტი განსაზღვრავს ელექტროენერჯით ვაჭრობის ზოგად პრინციპებს, აგრეთვე საცალო და საბითუმო ბაზრების მთავარ მონაწილეებს და შემოაქვს უზალანსობაზე პასუხისმგებელი პირის ცნება. თუმცა, კანონპროექტი არ აღწერს ბაზრის ორგანიზებისა და ანგარიშსწორების დეტალებს. ამისთვის კანონპროექტი ავალებს მთავრობასა და სემეკს ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციისა და ელექტროენერჯის ბაზრის წესების შემუშავებას, კანონის მიღებიდან, შესაბამისად, 2 დ 5 თვის ვადაში.

**ენერგეტიკული ბაზრის მოდელის კონცეფციის პირველი დოკუმენტი ეკონომიკის სამინისტრომ 2018 წლის 28 დეკემბერს დაამტკიცა**, რომლის ძირითადი ნაწილიც გადმოტანილია ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონის პროექტში. კონცეფციის ამ ვერსიის მიხედვით, ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის გარდა საქართველოში იფუნქციონირებს დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრები. კონცეფციის მიხედვით, ამ ბაზრების მოქმედების წესის ჩამოყალიბება 2019 წელს, ხოლო დღიური ვაჭრობის ორგანიზებული პლატფორმის სრულფასოვანი ამუშავება 2022 წელსაა დაგეგმილი. მთავრობას ევალება ენერგეტიკული ბაზრის მოდელის კონცეფციის განახლებული და ბევრად დეტალური დოკუმენტის მომზადება ახალი კანონის ამოქმედებიდან 2 თვეში.

**ენერგეტიკის შესახებ კანონპროექტი ასევე მოიცავს ბუნებრივი აირისა და წყალმომარაგების სექტორებს**. ბუნებრივი აირის სექტორში ელექტროენერჯის მსგავსი რეფორმებია დაგეგმილი, თუმცა რეფორმისთვის შედარებით დიდ ვადებია გაწერილი, ხოლო კანონქვემდებარე აქტები სრულად 2-2,5 წელში უნდა დამტკიცდეს. წყალმომარაგების სექტორში ცვლილებები არ იგეგმება, თუმცა, რადგან ამ დოკუმენტით ხდება ძველი კანონის სრულად ჩანაცვლება, მოხდა წყალმომარაგებასთან დაკავშირებული ნორმების გადმოტანა ახალ კანონშიც.

**მოწყვლადი მომხმარებელი-**

*მომხმარებელთა ჯგუფი, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფო სუბსიდირება*

**ენერჯის წახალისების მექანიზმები**

*რეგულირდება ცალკე კანონპროექტით*

**საბითუმო ვაჭრობა განხორციელდება**

*ორგანიზებული ბაზრების მეშვეობით*

*ბაზრის კონცეფციის მიხედვით ელექტროენერჯით დღით ადრე ვაჭრობა ორგანიზებული ფორმით 2022 წლიდან დაიწყება*

*ბუნებრივი აირის ნაწილში გასატარებელი რეფორმების განხორციელების ვადა, ელექტროენერგეტიკულ სექტორთან შედარებით, საშუალოდ 1 წლით მეტია*



## კანონპროექტის გავლენის შეფასება

რეფორმების დამსახურებით, სამომხმარებლო ტარიფი, საშუალოდ, ყოველწლიურად 1%-ით შემცირდება 2025 წლამდე. კანონპროექტს თან ახლავს USAID-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. აღნიშნული კვლევის მიხედვით, რეფორმის შემთხვევაში იზრდება ექსპორტის პოტენციალი და მცირდება საშუალო სამომხმარებლო ტარიფი. კერძოდ, 2025 წლისთვის დამატებით 1 მილიონი ლარის ექსპორტი განხორციელდება, ხოლო სამომხმარებლო ტარიფი, რეფორმების დამსახურებით, საშუალოდ ყოველწლიურად 1%-ით შემცირდება 2025 წლამდე. აღსანიშნავია, რომ რეფორმის გარეშე USAID სამომხმარებლო ტარიფის 1%-იანი ზრდას პროგნოზირებს იგივე პერიოდისთვის.

ელექტროენერჯის საბითუმო ფასი რეფორმის საწყის ეტაპზე შესაძლოა გაიზარდოს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კლებაა მოსალოდნელი. USAID-ის კვლევის მიხედვით, საბითუმო ბაზარზე გაჩენილი კონკურენცია შეამცირებს ელექტროენერჯის საბითუმო ფასებს. საერთაშორისო გამოცდილებაც ამას გვაჩვენებს. ჩვენი აზრით, საბითუმო ფასების აღნიშნული კლება მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ახლი ელექტრო სადგურები გამოიმუშავენ დამატებით ენერჯიას და ბაზარზე გაჩნდება კონკურენციას მიწოდების მხარეზე. იქამდე კი, სანამ სისტემა დეფიციტურია და მზარდი მოხმარება კმაყოფილდება იმპორტით, ჩვენი აზრით, საბითუმო ფასი ელექტროენერჯიაზე გაიზრდება. ამ მოლოდინს ის ფაქტიც გვიმყარებს, რომ კანონპროექტის მიხედვით, იაფიანი ენერჯი-ვარდნილის რესურსი, სავარაუდოდ, სრულად განაწილდება მხოლოდ სამომხმარებლო სეგმენტზე.

*სამომხმარებლო ტარიფი ყოველწლიურად 1%-ით შემცირდება*

*გრძელვადიან პერსპექტივაში საბითუმო ფასი შემცირდება*

*ბიზნესისთვის ელექტროენერჯის ფასი შესაძლოა გაიზარდოს მოკლევადიან პერსპექტივაში*





**კანონპროექტი განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ**

პარლამენტი კანონპროექტს სავარაუდოდ 2019 წლის ოქტომბერში დაამტკიცებს. კანონპროექტი შესაბამისობაშია და მეტწილად იმეორებს ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებს.

კანონით რეგულირდება განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოების საკითხები. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯია არის ის ენერჯია, რომელიც მიიღება განახლებადი არაწიადისეული წყაროებიდან, კერძოდ, ქარის, მზის, ჰიდროენერჯია, ბიომასა, აეროთერმული, გეოთერმული, ჰიდროთერმული და ოკეანის ენერჯია, ნაგავსაყრელებზე ორგანული მასალის დაშლის შედეგად მიღებული გაზი, წყალარინების გამწმენდ ნაგებობაში წარმოქმნილი გაზი და ბიოგაზი.

კანონი აწესებს ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს ენერჯის საერთო მოხმარებისა და ტრანსპორტისთვის. კანონპროექტის მიხედვით, საქართველომ 2030 წლისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი ენერჯის საერთო მოხმარებაში უნდა გაზარდოს 29.5%-დან (2019 წლის მაჩვენებელი) 35%-მდე; ხოლო ტრანსპორტში ამ წილმა სულ მცირე 10% უნდა შეადგინოს. ენერჯის საერთო მოხმარებაში ელექტროენერჯის მოხმარების გარდა შედის ბუნებრივი გაზის, ნავთობპროდუქტების (ბენზინი, ნავთი, დიზელი), ქვანახშირის, ბიო საწვავის და ა.შ. მოხმარებაც. სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად მთავრობამ, კანონის მიღებიდან 1 წლის ვადაში, უნდა შეიმუშავოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ღონისძიებები, ვადები, პასუხისმგებელი პირები, ბიუჯეტი, დაფინანსების წყაროები და ა.შ.

კანონპროექტით დაშვებულია წახალისების მექანიზმების შემოღება. წახალისება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: გადასახადის შემსუბუქებით, პირდაპირი ფასის მხარდამჭერი სქემებით, ფიქსირებული და ცვალებადი პრემიალური ტარიფის დაწესებით, ფასთა სხვაობის ხელშეკრულებით, მწვანე სერტიფიკატით, აუქციონის გამოცხადებით და ა.შ. წახალისების მექანიზმების ზუსტი ნუსხის და განხორციელების პირობების დასამტკიცებლად მთავრობას 1 წლიანი ვადა ეძლევა; ხოლო ცალკეული დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტებისთვის მთავრობის, სამინისტროსა და სემეკისთვის 2 წლამდე ვადაა განსაზღვრული.

მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურებისთვის, ბიოსაწვავის, ბიოგაზის, ბიოსითხისთვის და თბური ტუმბოებისთვის მინიმალური მოთხოვნები, ნორმები, სერტიფიცირების წესები, მონიტორინგის წესები და ა.შ. კანონის მიღებიდან 2 წლის ვადაში უნდა დამტკიცდეს.

კანონპროექტით გათვალისწინებული რეფორმების დასაფინანსებლად დონორებიდან უკვე მოზილიზებულია დაახლოებით 75 მლნ ევრო. ამასთან, რეფორმისთვის საჭირო სრული ბიუჯეტი ცნობილი იქნება ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ენერგეტიკაში განხორციელებული რეფორმების მხარდასაჭერად არაერთი დონორი ორგანიზაციის გრანტი თუ დაბალპროცენტიანი სესხია გამოყოფილი და არის მზადყოფნა დამატებითი სახსრების გამოყოფაზე. განმარტებით ბარათში უკვე გაცხადებული დახმარებებიდან აღსანიშნავია, ევროკომისიის მიერ გამოყოფილი 2 მილიონ ევრომდე საგრანტო რესურსი და KfW-სა და AFD-ს ერთობლივი 74 მლნ ევროიანი ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხი, რომლის ტრანშებიც პირდაპირ რეფორმის შესრულებაზეა მიზნული.

*განახლებადი ენერჯია - ჰიდრო, ქარის, მზის ენერჯია; ბიომასა; გეოთერმული, ჰიდროთერმული ენერჯია...*

**სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის:**

- 35%** - განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი ენერჯის საერთო მოხმარებაში
- 10%** - განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი ტრანსპორტში

**წახალისების მექანიზმები**

- პრემიალური ტარიფი
- სპეციალური მწვანე ტარიფი
- ფასთა სხვაობის ხელშეკრულება
- მწვანე სერტიფიკატი
- სპეციალური აუქციონი
- სხვა

**76 მილიონი ევროს ინვესტიცია**



**ცხრილი 3: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე**

	სექ-18	ოქტ-18	ნოემ-18	დეკ-18	2018	იან-19	თებ-19	მარ-19	აპრ-19	მაის-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	8თ19
საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდი ფასი საქართველოში	4.5	5.3	5.1	5.3	5.0	5.1	5.2	5.0	4.8	2.7	2.6	4.7	4.9	4.6
%-ლი ცვლილება, წ/წ	-7%	-4%	-3%	+9%	+1%	+1%	-3%	+0%	-3%	-50%	-50%	+30%	+4%	-8%
საშუალო ფასი საქართველოში იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	4.2	5.1	5.0	5.2	5.0	5.0	4.5	3.6	5.0	NM	5.5	5.2	5.2	4.6
%-ლი ცვლილება, წ/წ	-13%	-3%	+4%	+7%	+13%	-3%	-14%	-27%	-12%	-	-4%	-13%	+12%	-10%
საშუალო ფასი საქართველოდან ექსპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	5.9	7.5	-	-	3.2	-	-	NM	NM	4.0	3.2	7.2	NM	3.7
%-ლი ცვლილება, წ/წ	+21%	+43%	-	-	+22%	-	-	-	-	-31%	-44%	+20%	-	+16%
ელექტროენერჯის საბაზრო ფასი თურქეთში	5.2	5.5	5.5	5.0	4.8	4.4	5.0	4.8	3.4	3.4	4.1	5.4	5.4	4.5
%-ლი ცვლილება, წ/წ	-2%	+20%	+19%	+21%	+4%	-11%	+6%	+16%	-29%	-18%	+1%	+23%	+2%	-2%

წყარო: ესკო, საქსტატი, სეზი, EPIAS

შენიშვნა: ექსპორტისა და იმპორტის საშუალო ტარიფი უმნიშვნელოა (NM) როცა რეალურად განხორციელებული იმპორტი ან ექსპორტი უმნიშვნელოა.



**ცხრილი 4: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ**

	სექ-18	ოქტ-18	ნოემ-18	დეკ-18	2018	იან-19	თებ-19	მარ-19	აპრ-19	მაის-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	8თ19
<b>სულ შიდა მოხმარება</b>	<b>954</b>	<b>977</b>	<b>1,077</b>	<b>1,171</b>	<b>12,577</b>	<b>1,148</b>	<b>1,036</b>	<b>1,137</b>	<b>1,010</b>	<b>984</b>	<b>1,064</b>	<b>1,107</b>	<b>1,103</b>	<b>8,589</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+4%	+3%	+4%	+1%	+6.1%	-2%	-2%	+2.0%	+3.2%	+2.4%	+8.6%	+1.5%	+5.3%	+2.3%
<i>მათ შორის:</i>														
- აფხაზეთის რეგიონი	105	122	193	243	<b>1,922</b>	254	221	242	187	114	108	117	128	<b>1,371</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+4%	-10%	-1%	+1%	-4.0%	+3%	+2%	+17%	+26%	+13%	+7%	+1%	+6%	+9.0%
- კვალიფიციური საწარმოები	160	170	159	159	<b>1,794</b>	144	129	154	144	313	324	334	308	<b>1,850</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+32%	+40%	+49%	+56%	+25.7%	+33%	+24%	+34%	+31%	+74%	+84%	+84%	+80%	+61.5%
- სადისტრიბუციო კომპანიები	688	685	725	769	<b>8,862</b>	750	686	741	680	557	631	656	666	<b>5,368</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-1%	-1%	-1%	-6%	+5.2%	-8%	-7%	-6%	-6%	-18%	-10%	-17%	-12%	-10.5%
<i>მათ შორის:</i>														
- ენერგო-პრო ჯორჯია	468	465	477	492	<b>5,891</b>	481	445	488	458	341	379	404	424	<b>3,421</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+3%	+2%	-1%	-7%	+12.1%	-8%	-6%	-6%	-5%	-27%	-20%	-23%	-19%	-14.3%
- თელასი	221	220	248	276	<b>2,970</b>	269	241	253	221	216	252	252	243	<b>1,947</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-8%	-6%	-1%	-5%	+1.2%	-8%	-8%	-7%	-7%	+1%	+12%	-7%	+3%	-2.9%
<b>სულ გენერაცია</b>	<b>849</b>	<b>783</b>	<b>900</b>	<b>986</b>	<b>12,149</b>	<b>1,011</b>	<b>939</b>	<b>974</b>	<b>966</b>	<b>1,156</b>	<b>1,198</b>	<b>1,055</b>	<b>1,020</b>	<b>8,319</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+3%	-5%	-7%	-9%	+5.4%	-0%	+0%	-2%	-9%	-0%	-1%	-17%	+4%	-3.6%
<i>მათ შორის:</i>														
- ჰიდროსადგურები	681	578	563	705	<b>9,949</b>	601	511	540	801	1,150	1,185	1,043	874	<b>6,705</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-4%	-1%	-15%	+3%	+8.0%	-11%	-14%	-30%	-21%	+7%	-1%	-17%	+6%	-9.7%
- თბოსადგურები	160	198	331	275	<b>2,115</b>	405	420	426	159	0	7	3	138	<b>1,557</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+50%	-17%	+9%	-30%	-5.3%	+22%	+26%	+98%	+348%	-100%	+141%	-52%	-8%	+35.3%
- ქარის სადგურები	8	7	7	6	<b>84</b>	6	7	8	7	6	5	9	8	<b>57</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	18%	4%	33%	11%	-4.0%	-18%	18%	17%	-27%	17%	6%	11%	9%	+2.3%
<b>იმპორტი</b>	<b>139</b>	<b>230</b>	<b>219</b>	<b>228</b>	<b>1,509</b>	<b>182</b>	<b>142</b>	<b>209</b>	<b>81</b>	<b>0</b>	<b>8</b>	<b>94</b>	<b>119</b>	<b>835</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+5%	+46%	+99%	+69%	+0.8%	-10%	-15%	+30%	+621%	-99%	+29%	NM	+20%	+20.5%
<b>ექსპორტი</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>589</b>	<b>-</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>134</b>	<b>100</b>	<b>6</b>	<b>0</b>	<b>241</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	N/A	N/A	N/A	-14.2%	N/A	N/A	N/A	N/A	-33%	-49%	-95%	N/A	-59.1%
<b>წმინდა ექსპორტი</b>	<b>(139)</b>	<b>(229)</b>	<b>(219)</b>	<b>(228)</b>	<b>(920)</b>	<b>(182)</b>	<b>(142)</b>	<b>(209)</b>	<b>(81)</b>	<b>134</b>	<b>92</b>	<b>(88)</b>	<b>(119)</b>	<b>(595)</b>
<b>ტრანზიტი</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>108</b>	<b>112</b>	<b>13</b>	<b>-</b>	<b>9</b>	<b>6</b>	<b>9</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>38</b>	<b>61</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	N/A	+373%	+113%	-94.7%	N/A	-33%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	+356.8%

წყარო: ესკო





## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარდებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილუდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი მიზანრისის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლისინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულსხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გაელენა მთავარი ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიმოქცევაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**  
ევა ბოჰორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

**ეკონომისტი**  
ლამა ქავთარაძე | lashakvataradze@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი**  
ზაზანა შენგელია | bshengelia@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ნინო პერანიძე | nperanidze@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ნიკა მეგუთნიშვილი | nmegutnishvili@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,  
საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge